

მწყმმსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცნობარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედიო ჩემდა ყოველნი მასურაღნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

წმინდა სანთლის წარმოების საქმე ჩვენს საქსარსოხოში.

უველამ უწყის, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს წმინდა სანთლის შემოსავალს ხალხის განათლებისა და ეკლესიების გამშენებისათვის საზოგადოდ. წმინდა სანთლის მოგება, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროს, თითქმის პირველი ადგილი დაიჭირა ეკლესიების სხვა-და-სხვა შემოსავალთა შორის. აქედამ უხადია, თუ როგორ უნდა ვცდილობდეთ უველანი, რომ ეს საქმე უფრო წარმატებით მიდიოდეს. ამიტომ მომეტებულ ყურადღებას უნდა ვაქცევდეთ, რომ მოვსპოთ ყოველივე მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიან წმინდა სანთლის უფრო

გაუმჯობესობით წარმოების საქმეს. ასეთი დამბრკოლებელი მიზეზები ბევრი იყო დღემდის, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ბევრია. წინეთ ერთი უმთავრესი დამბრკოლებელი მიზეზი სანთლის რიგიანად წარმოებისა ის იყო, რომ კერძო ქარხნები და საერო პირნი დიდ მეტოქობას, მოცილეობას უწევდნენ საეკლესიო წმიდა სანთლის ქარხნებს და სანთლის საწყობებს მით, რომ იგინი ჰყიდდნენ უაღრესად სანთელს, რომლის ნმარება არ შეიძლება ეკლესიაში. ეს უაღრესად სანთელი უფრო იაფად ჯდება, ვინემ წმინდა სათელის ცვილისაგან მომზადებული სანთელი და ამიტომ გასაკვირველი არ იყო, რომ უაღრესად სანთლის მწარმოებელი უფრო იაფად უიდედნ ამ სანთელს, ვინემ წმინდა სანთლის ქარხნები და საწყობები. კერძო ქარხნები მოგებით ჰყიდდნენ

ფუტს სანთელს 18 მან., როდესაც საეკლესიო წმინდა სანთლის ქარხნებს და საწყობებს ხელს არ აძლევს ფუთი 26—27 მანეთ ნაკლებ გაჰყიდონ. ამიტომაც უფრო ეტანებოდნენ იათ და ყალბ სანთელს, ვინემ ნამდვილი თაფლის ცვილისაგან მომზადებულს.

დღეს, დვთის მადლით, ეს უკანონო ცილობა კერძო ქარხნების მხრით უკვე მოისპო უმაღლესი სასულიერო მთავრობის მეცადინეობით და განკარგულებით. ეხლა, იმედია, სამღვდელოება ეცდება გამოიხსნას უმჯობესი ზომები, რომ უფრო წარმატებით აწარმოვონ წმინდა სანთლის საქმე და ჯეროვანად მოაწყონ იგი.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ უვალა ევარქიებში არ არსებობს საეკლესიო წმინდა სანთლის ქარხნები და არც უველგან მიაჩნათ სავალდებულოდ ეკლესიებში წმინდა სანთლის ხმარება. ბევრი რამ უნდა შეიცვალოს წმინდა სანთლის ადებ-მიმცეობის წესშიაც. აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ ისიც, რომ ჩვენს სამღვდელოებას ჯერ კიდევ უველგან არ შეუგნია, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს წმინდა სანთლის წარმოების საქმეს და ამიტომაც ძლიერ გულგრილად უტკერინან ამ ფრთხად სასარგებლო საქმეს.

წმინდა სანთლის წარმოების საქმე უველასათვის ერთგვარად საინტერესოა, და ამიტომ ამ საქმის წარმოება, მისი შემოსავალი და მდგომარეობა უოველთვის უნდა ეცნობებოდეს სამღვდელოებას და საზოგადოებასაც.

ჩვენში არსებობს სავალდებულო ოფიციალური ორგანო, რომელშიაც ხან-დის-ხან ისეთი უბრალო ცნობები იბეჭდება, რომელთა გამოცხადება დიდად საჭირო არც კია, და ამისთანა საჭირო საქმის შესახებ, როგორც წმინდა სანთლის წარმოება არის, არაფერი არ იბეჭდება და სამღვდელოება მოკლებულია შეიტყოს და გაიგოს, თუ როგორ სწარმოებს წმინდა სანთლის ქარხნების და საწყობების საქმე. თუ კი რუსეთის ევარქიებში საჭიროდ მიაჩნიათ სასულიერო განხეთებში ანგარიშების ბეჭვდა წმინდა სანთლის წარმოების საქმის შესახებ, ჩვენში რა და უდგია ამ საქმეს წინ? ფუფს ხომ არავინ მოითხოვს ამისთანა ანგარიშების დაბეჭდვისათვის? თუ დღეს უველგან ერთნაირად გუფმხურვალედ არ

ევიდება სამღვდელოება სანთლის წარმოების საქმეს, ამის ცოტაოდენი მიზეზია ის გარემოებაც, რომ სამღვდელოებამ არაფერი უწუის ამ საქმისა. სამღვდელოება უველგან ერთნაირი მეუბათობით არ ევიდება წმინდა სანთლის წარმოების საქმეს, სხვათა შორის, იმიტომაც, რომ მას არაფერს არ ევითნებთან ამ საქმისას, როდესაც ამ საქმეში სამღვდელოებას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს და მხოლოდ იგი უნდა იყოს ამ საქმის მწარმოებელი.

შეიძლება ვინემ გვიპასუხოს: სანთლის წარმოების ანგარიში უოველ წელს იწერება და მოხსენდება მთავრობასაც. ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ საჭიროდ მიგვჩნია სანთლის ანგარიშის საქვეუნოდ გამოცხადება. უველამ უნდა იცოდეს, სად ივიდება სანთელი, რა ფასად ივიდება, რა რჩება მოგება ქარხნას, ან საწყობში რამდენი ივიდება სანთელი, ვინ განაგებს სანთლის წარმოებას, სანდონი არიან გამგებელი თუ არა ღ სხვა და სხვა...

ზოგ ადვილას, სადაც სანთლის ქარხნები არ იმექონება, ისეთ სანთელს უიდეულობენ, რომელშიაც ნახევრობით წმინდა თაფლის ცვილი არ არის, დააკვრენ საეკლესიო სანთლის დამდას და ჰუფქრობენ, რომ ეს დამლა ყალბ სანთელს ნამდვილ სანთლად განდის!.. ყალბი სანთელი მართალია იათია, მაგრამ ეკლესიაში მისი კომლი უველათერს აფუჭებს და ამით დიდათ საზარალოა და მეორე მხრით დვთას საწინააღმდეგო, რადგან შეწირულება ნამდვილი უნდა იყოს და არა ყალბი.

ჭემშარიტად მისაბაძავია ამისთანა შემთხვევაში ხერსონის ევარქია, რომელშიაც მშვენიერი ჩვეულება და წეს-წყობილება სუფევს როგორც სანთლის წარმოების საქმეში, ისე მღვდლების გურთხევის და სხვა ევარქიის მართვა-გამგეობის საქმეში.

სრული იმედი გვაქვს, რომ შემდეგისათვის სამღვდელოება ედირსება დაწვლილებით დაბეჭდილი ანგარიშების წაკითხვას წმინდა სანთლის წარმოების შესახებ ევარქიებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამისთანა ანგარიშების საქვეუნოდ გამოცხადება საქმეს თუ არგებს, თორემ არასოდეს არ აზარალებს. სახარებაც ბრძანებს, რომ უოველივე გამოცხადებული ნათელ არს, ხოლო დაფარული ბნელ არს.

დ. ლამაზიძე

მ წ ა რ ე უ ი მ რ ა მ ბ ი .

ვაი იმ გაზეთის მეითხველის ბრალი, რომელი გაზეთის თანამშრომელი მხოლოდ ვროშების ანგარიშს გაუტაცნია და ამიტომ ნამეტან უურადღებებს სტრიქონების სიმრავლეს აქცევინ და არა ნაწერის სიმართლეს. ამისთანა მწერალი სრულებით არ დასდევს საქმის რიგონად გამოკვლევას, ის წერს და ილაპარაკობს ერთი «ადვოკატივით».

ერთ «ადვოკატს», რომელსაც, კარგა ხანია, ვიცნობთ, ვკითხეთ ერთხელ: მენ ხომ დარწმუნებული ხარ, რომ შენი მარწმუნებელი დამნაშავეა და როგორ უნდა ილაპარაკო მის გასამართლებლად?

— მართალია ვიცი, რომ ის დამნაშავეა, მაგრამ ფულს მაძლევს საქმის დასაცველად და იძულებული ვარ დავიცვა, შეიძლება მართალი მხარე გამტყუნდეს და ჩემი «კლიენტი» კი სუ უ გავამართლო, მომიგო მან.

— რას ეტყვიტ მოსამართლეს, რომელი კანონის ძალით მოითხოვთ ბრალდებულის გამართლებას?

— მოსამართლე ცოტა ჯერეთ გამოუცდელი კაცია და სუსტი სწავლისაც, გამოგონებულ „სენატის რეშენიებს“ ცერცვავით მივაური, მოსამართლეს მართალი ეგონება და ბრალდებულს გაამართლებს, ბევრჯერ გამართლებულა ამისთანა ჩემი ფიქრები, მომიგო მან.

მართლაც ასე მოხდა; ამ ვეჭილმა მართალი მხარე გაამტყუნა და მტყუნანი გაამართლა.

სწორედ ასე იქცევან ზოგიერთი ჩვენი ენდონდელი დროის მწერლები. ერთ გაზეთში ვკითხულობთ:

ამას წინად თფალისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა მოსახოკა თფალისის სახელისნო სკოლის გამგეთ, რომ სწავლება ამ სკოლაში ამოკრიდგან რუსულის სახელმძღვანელების შემწეობით სწავლებდეს.

ბ. დირექტორმა თავის მოთხოვნის საბუთად შემდეგი გარკობა მოიხსენია: «რადგანც ქართულს ენაზედ არ ანსებობს საჭარო სახელმძღვანელები, და მასწავლებელი იძულებულან არან ზემოდან ასწავლან უკულა საგნება მოწყაყა, ამისათვის საჭარო, სწავლება დღეიდან რუსულს ენაზედ იუალა».

ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ამ კამად ეს საქმე, მაგრამ ამასკი ვიტყვიტ, რომ ერთ ნაწილში მოთხოვნილება ბნის დირექტორასა მაგკენისა სრულად კანონიერად.

მართლა, როგორ შეიძლება ანსებობდეს სკოლა და წიგნება-კა, რომლითაც უნდა ისწავლან მოწაფეებმა, ანსად იშკებოდეს.

ამ ბატონ სუბლიცისტს კიდევ ვერ გაუგია, რომ რუსულ ენაზედ სწავლება სახელმძღვანელოების უმეტონებლობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ზოგიერთების დაჯინებულ სურვილზე, რომ უველაფრის სწავლება რუსულად სწარმოებდეს და არა ქართულს ენაზედ. ჩვენი „დედა-ენა“ ბევრად უმჯობესად არის შედგენილი რუსულ ამგვარ სახელმძღვანელოებთან შედარებით, მაგრამ კითხეთ ზოგიერთებს, სურსთ თუ არა მათ ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა. ვინ შეადგენს ქართულს ენაზე გეოგრაფიას, ფიზიკას, ზოოლოგიას, არითმეტიკას, როდესაც უველა დარწმუნებულა, რომ ამ საგნების სწავლება სასწავლებელში ადგრძალულია ქართულს ენაზედ? პროგრამაში ბევრი რამე სწერია, მაგრამ საქმით იოტადაც არ სრულდება. ჩვენს სასულიკრო სასწავლებლებში თითქმის პირველი ადგილი უჭირავს ქართული სადმართო-საეკლესიო წიგნების კითხვის შესწავლას, რადგან ამ სასწავლებლებში სამღვდელთ ამზადებენ მოსწავდეთა. აბა რომელიმე მოწაფეს კურსის დასრულების შემდეგ საეკლესიო და სადმართო წიგნები წააკითხეთ ქართულად, თუ ათში ერთმა მოახერხოს კითხვა ისე, რომ ხელახლად მონასტერში ან მღვდელთან მომზადება არ დასჭირდეს?

დიად, ძლიერ სამწუნაროა მხედველობის ბეცობა, მაგრამ ამაზე უარესი გონებითი ბეცობაა.

**

ამას წინეთ ერთი უსახელო მწერალი აბა-
შიდამ იწერებოდა ერთს გაზეთში სხვა-და-სხვა
სასიამოვნო აპბებს და, სხვათა შორის, ძლიერ
აუკებდა მეგრელებს, რომ მათ «დანოსების»
წერა უყვარსთო. ზოგიერთ ძველ «ჩინოვნი-
კებს» ჩვეულებად ჰქონდათ მიდებული ერთი
ოსტატური ხერხი. მოვიდოდნენ თუ არა ახალ
ადგილას, ახალი თანამდებობის მისაღე-
ბად, მაშინვე დაურიდენ ცუდ ხმებს მათ-
დამი რწმუნებულ ხალხზედ. მოჰყვებოდნენ
ხალხის გინებას და განკიცხვას; ივინი
ზოგს მათგანს ქურდებად დასახავდენ, ზოგს მა-
ბეზდრებად და სხვებს—«კლიაუზნიკებად». ამის
შემდეგ თვითონ მიჰყოფდენ ხელს თავიანთ ძველ
საქციელს და ტყავს აძრობდენ ხალხს. რადგან
ხალხს სახელი ქონდა გატეხილი ამ ძველ
მოსამსახურეთაგან, მათ დანოსებს და საჩივრებს
უურადღებას ადარ აქცევდენ!.. სწორედ ამისთანა
ძველი ჩინოვნიკის საქციელს მოგვაგონებს აბა-
შედი კორნესპონდენტის... ნუ თუ აბაშელმა
კორნესპონდენტმა ის არ იცის, რომ მედანი-
სეთა ბუდე იქ არის, სადაც კანონები ითელება,
სადაც პირმოთნეობას, ნათესავობას, ნათლიმა-
მობას, ნაცნობობას, უკანონობას, უციკობას და
ყოველგვარ სამარცხვინო საქციელს დრმად
ფესვი გაუდგამს? ბადლინჯოები იქ ჩნდებიან,
სადაც ბნელი არის და სადაც სინათლეა, იქ
ვერ მოიკდის ეს მურალი მწერი. გაქვსთ ღვთის
წყალობა, მბეზდრები შუაგულ რუსეთშიაც ბევ-
რნი იუვენენ და არა მარტო სამეგრელოში, მაგ-
რამ მიზეზი ამ მბეზდართა გამრავლებისა ისევ
ისინი არიან, რომელნიც მათ ემდურებიან და აუ-
გებენ!..

მართალია, მთელ ხალხში ერთი და ორი
ყოველთვის აღმოჩნდება კუზიანი, უსაფუძვ-
ლოდ და უმართლოდ მბეზდარი, მაგრამ ერ-
თი და ორი სულმდებალი კაცის ჩირქით არ
უნდა ისვრებოდეს მთელი ხალხი და ამისთანა
ორიოდე სულმდებალზე უურადღების მიქცევა
არა ღირს.

სოფლის მღვდელი.

„მწამსი“-ს კორესპონდენცია

სოფელ ალისუბნიდამ.

ღვთის სიყვარული და მასზე მტკიცე სასოება
ბევრ რამე კეთილ საქმეს მოაფიქრებინებს, შეაძლე-
ბინებს და კიდევაც სისრულეში მოაყვანინებს კაცს.
ქვეშაბრტეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რომელი კა-
ციც ენერგიულად, სასოებით ღმერთზედ და განუწყ-
ყვებლივ მისდევს ერთსა და იმავე საქმეს, თუნდ ეს
საქმე იყოს კერძო ანუ საზოგადო, სიყვარულის გა-
მო, იგი იძულებული ხდება, მიუხედავად თავის ნივთიერი
მდგომარეობისა, ინსტიტუტურად განაგრძოს პირველი-
ღან აღმორჩეულ ასპარეზზედ მოღვაწეობა; მას აღარ
ჭირდება ჩიჩინი, უზომო ლაპარაკი და დავიღარაბა,
ის ყოველთვის მზად არის ზნეობრივი დახმარებით
მანც გაუწვდინოს ხელი თავის მოყვასს. ესთქვით,
კაცმა ერთი რამე საქველ-მოქმედო კეთილი საქმე
შეასრულა ღვთის სიყვარულისა გამო. ის ისე ტკბება
თავის შრომის ნაყოფით და ისეთ ზნეობრივ სია-
მოვნებას პოვობს მასში, რომ ამ ერთი კეთილი საქ-
მით არ კმაყოფილდება და ყოველ ღონის ძიებას
ხმარობს, რომ როგორმე შეძლოს და მეორე რაიმე
კეთილი საქმეც შეასრულოს. უფრო სასიამოვნო და
სანატრელი ის არის, რომ ხშირად ამგვარი კაცის
აღნიშნული საქციელი, ზოგი ბუნებითი კანონის ძა-
ლით და ზოგიც მისი ცხოვრების მიზანძივით მის შთა-
მომავლობაზედაც გადადის და ასეთი წეს-წყობილება
ღიდ ხანს თუ არა, რამოდენიმე ათიოდე და ასიოდე
წელს მაინც გაატანს.

ამ ჩემი აზრის დასამტკიცებლად, მე მაგალითებს არ
მოვიყვან არც ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან და
არც სხვა უცხო ქვეყნების ისტორიას მივმართავ, ვი-
ნაიღვან საჭიროდ არა ვრაცხ იმის დამტკიცებას;
მხოლოდ აქ აღნიშნავ ერთი კაცის მოქმედებას ზო-
გიერთ ჩვენ მდიდარ თავად-აზნაურთა და სხვა შემძ-
ლე პირთა საყურადღებოდ.

ამ 3—4 წლის წინეთ სოფელ ალისუბანში განიძრახეს, ზოგიერთა კეთილი პირების შთაგონებით, ახალი ქვის ეკლესიის აღშენება, მაგრამ მრევლის სიცოტავის (სამოც კომლზედ ცოტა მეტია) და სილატაკის გამო, მანამდის ვერ შეუდგნენ ამ საქმეს, სანამდის ამ კეთილი და ფრიალ სასიამოვნო საქმის განძრახვაში გულმხურვალე მონაწილეობა არ მიიღო ამ სოფლის მკვიდრმა, დიდად პატივცემულმა ბ. ნიკო ჩაკვაიძემ; მათ აღუთქვეს ნიეთიერი და წნეობრივი დახმარება ხალხს, თვითონვე იკისრეს კომიტეტის თავმჯდომარეობა და სხვა მრავალი წერიმალი ხარჯი. ამნაირად საქმე გაჩაღდა, ხალხი გამხსნედა, და ყველანი ერთგულად შეუდგნენ ეკლესიის შენებას, რომლის გეგმა სწორედ საუცხოვოა და მეტად ლამაზი. წარსული წლის მიწურულში ამ ეკლესიის კედლები მოათავეს და საქმემ მიატანა ვადახურვამდის. მრევლი ამ ხარჯისაგან ბ. ჩაკვაიძემ განათავისუფლა და თავის მეუღლის სულის მოსახსენებლად შესწირა 24 თუმანი, რომლითაც კომიტეტმა, მისივე თაოსნობით, ბათუმშიდამ გამოიწერა მარსელიის კრამიტი. ამგვარად ღვთის მოწყალებით და ბ. ნ. ჩაკვაიძის უხვი დახმარებით, ეკლესია დაიხურა. ყველანი აღტაცებაში იყვნენ, შეტრფილებდნენ თავის ლამაზ ეკლესიას და მოუთმენელად ელოდნენ ამ გაზაფხულზედ მის კურთხევას და მასში წირვა-ლოცვით დატკობას. მაგრამ განგებას თურმე სულ სხვა უნდოდა, რუსები რომ იტყვიან «человѣкъ предполагаетъ, а Богъ располагаетъ»-ო სწორედ ასე დემართა საწყალ ალისუბნელებს *). 19 მარტს, ამა მდგო-

*) ჭკ შმანტიად განგებით უფიქლა, რომ კურთხევის დროს არ ჩამოიქცა ეს ეკლესია და არ ამოყლიტა სამდვადლოება და სასოგადოება! რაიფა შეესება სსკას, აქ განგება არაფერ შუაშია. უეკლგან შეიგნეს, გაიგეს და მისჯდენ, რომ ეკლესია უგებოდა, დაუფიქრებლად კიდაცა უეიც კალატონებს და დურკლებს არ უნდა მინდონ ასაშენებლად, მაგრამ ეს ჩვენში კიდეკ ვერ შეიგნეს. რამდენი ეკლესია დაიქცა, მაგრამ მინდ კიდეკ არ მოიშაღეს უგებოდა ეკლესიების შენება. ამობუნ, რომ გუბერნიის ხურათ-მოდვარნი ბეკს ფუ-

მარე წლისა, ეკლესიის სახურავი ჩაიმტერა, ჩრდილოეთის კედელი ფანჯრების თალებს ზევით დაინგრა და საგანგებოდ გამოწერილი მარსელიის კრამიტი თითქმის სრულებით დაიმტერა და ამნაირად ალისუბნელები ხელახლა ჩავარდნენ განსაცდელში და სასოწარკვეთილებაში.

როგორც ხუროთ-მოდღერის შემოწმებამ აღმოაჩინა 17 აპრილს, ამ უბედურების მიზეზი ყოფილან კალატონები გვარად ბერეკაშვილები, რომლებიც ამ ბოლო დროს თურმე გულგრილად ეციდებოდნენ საქმეს და პირობისაებრ არ აშენებდნენ ეკლესიას. ეს მათი გულგრილობა აიხსნება მით, რომ მათ სახელი მოპოვებული აქვთ და ამ შემთხვევაში მუდმივი გზარი არ ყავდათ ამ ბოლო დროს, ვინაიდან კომიტეტის თავმჯდომარე მთელი სამი თვე მძიმე ავადმყოფი იყო; და მეორეს მხრით ბრალი დაედო ხის ოსტატსაც—ბოკორიშვილს, რომელსაც ამ საქმის გაკეთება დარჩა ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ. აქაურებს ანლა დარჩენიათ ერთად ერთი იმედი ისევ თავის ინიციატორის ბ. ნ. ჩაკვაიძისა, რომელიც დაულალავად შრომობდა ამ ეკლესიისათვის, და სწორედ სრული იმედი უნდა ეიქონიათ, რომ ეს განსაცდელი მას ვერ შეაშინებს, იგი თავისი მამობრივი სიტყვით ხელახლა გაამხსნეებს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს ხალხს, თავისისავე თაოსნობით შეუდგება საქმეს და ამ მოკლე ხანში კიდევ დააგვირგვინებს ამ საქმეს.

მ. ზუ—ქე.

ლებს ითხავს გეგმის შესადგენად. და რას ჩასტაგობან მინდ-და-მინდ გუბერნიის ხურათ-მოდვარს? განსტატანი არიან სსკანი? ვინმე კერძო ხურათ-მოდვარს რომ დაუნომონ მანეთუდ 10%, ჩვენ ვუფიქრობთ, სიხანულით დათანხმდება გეგმის შედგენას, და თავისი «მზაგანით» შედამსდევკლბას შენობის დროს. ჩვენის მოუფიქრებლობით კიდეკ ბეკნი ეკლესია დაგვეგრეკვა და დმეკთს კსთხოვოთ, რომ ეს უბედურება წიკვის დროს მინდ არ მოხდეს ხოლმე.

რედაქტორი.

«მწყემსი»-ს კორამსკონდენცია

I

ახალ-სენაკი:

«მწყემსი»-ს მკითხველებს მინდა ვაუწყო ერთი ამბავი, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია როგორც ახალ სენაკში, ისე მთელს სამეგრელოში. აი თვით ეს ამბავიც: მოგხსენებათ, რომ ამ რამდენიმე წლის წინად დიდი ლაპარაკი და კამათი გამოიწვია სამეგრელოში მეგრულს ენაზე მეგრელთა ლიტერატურის შემოღებამ... ჩვენდა საბედნიეროდ, მეგრულს ენაზედ წიგნების ბეჭედა და მეგრული ანბანიც მთელმა სამეგრელომ უარ-ჰყო და მისი შემადგენელიც დაჯილდოვა წყველით და კრულით. ყველასათვის ცხადია, რომ მეგრელები არ საჭიროებენ მეგრულ ლიტერატურის დაარსებას, რადგან ზოგიერთი ქართული სიტყვები მეგრულს ენაზე ნათარგმნი კაცს სიცილს მოგვიჩინებს. სიტყვა წმინდა—უთარგმნით ტატალით. ნუ თუ ეს სასაცილო არ არის? ბევრია ასეთი სიტყვები, ნამეტურ საღმრთო წერილში. მას აქეთ აღარაფერი ისმოდა მეგრულს ენაზე ლიტერატურის დაარსების შესახებ. დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ახალ-სენაკში აღმოჩნდა ისეთი კაცი, რომელმაც ისევე დაიწყო ამ საგანზე ლაპარაკი და სურს მეგრულს და ქართულს ენაზედ წიგნები გამოსცეს. ამისათვის ამ კაცმა სამეგრელოს დაბა-სოფლებში დასარჩებლად შემდეგი განცხადება დაბეჭდა: «მე განვიძრახე, სწერს მეცნიერი ლინგვისტი თავის განცხადებაში, «მეგრელთა ხალხური სიტყვიერებითი ნაწარმოები: ანდაზები, გამოცანები, მოსწრებული სიტყვები (ნაკვესები), ლექსები, ლეგენდები და ზღაპრები დაესტამბო და გამოეცეცე ცალკე წიგნად მეგრულს და ქართულს ენაზედ ქართული ასოებითა». ამისათვის ლინგვისტი სთხოვს სოფლის ინტელიგენტებს, რომ მათ თავიანთი ნაშრომი გაუგზავნონ ამ კაცს. ეს კარგი და პატიოსანი სიტყვაა, აფერუმ მეცნიერო! დიდება თქვენს ნიჭსა, სამეგრელოს განმანათლებლო! მაგრამ მოგაგონებთ იმასაც, რომ ბევრია ისეთი მეგრული და ქართული სიტყვები, რომლებიც ერთი მეორედგან არ ითარგმნებიან და თუ აშორდა უფლათ ქართული მეგრულს ენაზე თარგმნეთ, სწორედ ჩვენი დი-

დათ მეცნიერის და ფილოსოფოს აშორდის ანბანებიც დაგვირდებათ. მაგრამ ნება გვიბოძეთ გითხნოთ, თუ რათ სწვეთ ჯაფას ამ საგანზე. როცა ამ ნაირი წიგნების გამოცემა მეგრელებისაგან უარყოფილია. თუ მინცა-დამინც არამკითხე ავტორს სურს გამოსცეს წიგნები, შეკრიბოს მეგრელთა ნაწარმოები სიტყვები და გადათარგმნოს ქართულად და არა ისე, როგორც მის განცხადებაში სწერია... რალა გვეთქმის ამის მეტი: საკვირველ არიან უფალო, საქმენი შენი, რამეთუ ყოველივე სიბრძნით ჰქმენ! უფრო საკვირველ არიან ზოგიერთი მთხზულეების საქმენი, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმენ.

სენაკელი ტრიფონ მეგრელი

II

ახალ-სენაკი:

ამ მდგომარე წლის იანვრის 12, 13 და 14 სამეგრელოს სამღვდლოების დეპუტატებს კრება ჰქონდათ ახალ-სენაკში. კრებას ბევრი საგანი ჰქონდა განსახილველი, მაგრამ მათ შორის ერთი საგანი უფრო საყურადღებოდ მიგვაჩნია. დღემდე ჩვენს სასულიერო სასწავლებელში ერის კაცის შეილებზე წლიური გარდასახადი სწავლის უფლებისათვის ოცი მანეთი იყო, მაგრამ დღეს კრებამ შემდეგი გარდაწყვეტილება დაადგინა: ერის კაცის შეილებს სწავლის უფლებისათვის 20 მანეთის მაგიერ 30 მანეთი გარდასახდეს. ამისთანა განაჩენით სამღვდლოება ამტკიცებს, რომ მასს არა ჰსურს, რათა მათ სასწავლებელში ერის კაცების შეილებაც მიიღონ განათლება, თორემ სხვას რას უნდა მიეაწერათ სწავლის უფლებისათვის ამისთანა დიდი გარდასახადის დანიშნა

საექსარხოზოსის სხვა სასულიერო სასწავლებლებში არსად არ არის ამდენი გარდასახადი *). სამ-

*) თუ თვითონ სამღვდლოებას 30 მ. მეტი ხდება სასწავლებლის შესახებათ წელიწადში, რატომ სწვებამც არ უნდა გარდასახდონ? ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, დიდი ხანია, 30 მანეთი ხდებათ სწავლის უფლებისათვის ერის კაცის შეილებს.

წუხაროა ეს ამბავი მით უმეტეს, რომ სენაკის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი ერთადერთი ბურჯია, სადაც დღემდის ყველას შეეძლო სწავლა-განათლების მიღება. ამ სასწავლებელში კურს-დამთავრებულნი შევირდები, რომელთაც შეუძლებლობია გამო არ შეეძლოთ სწავლის გაგრძელება, გამოდიოდნენ ცხოვრებაში ცოტადანთ განსწავლულნი და განვითარებულნი. ახლა კი სულ სხვა შედეგი მოჰყვება წრეგანდელი კრების განაჩენს და მრავალს ნიჭიერს ბავშვს ერის კაცთა შვილს სასწავლებლის კარები დაეხურება. სამღვდლოება ამ შემთხვევაში თავის კერძო ინტერესებს მისდევს, მხოლოდ თავის საკუთარ შეილებაზედ ჰზრუნავს და არა საზოგადოდ თავიანთ სულიერ შეილებაზედ და მთლად წმინდა და სამოციქულო ეკლესიის მცნებაზედ. ესეც ვიცით, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში მოხეტეპული ნაწილი საიმედო და ეკლესიისთვის სასარგებლო მოწაფეთაგანნი ერის კაცთა შვილები არიან. ერის-კაცის შვილი, რომელიც სასულიერო სკოლაში სწავლობს, უთუოდ უნდა ემსახურებოდეს იმ მიზანს, რა მიზნითაც არიან სასულიერო სასწავლებელნი დაარსებულნი და თითქმის ყველა ამათგანი ელტვის მღვდლობის მიღებას და ეკლესიის მსახურებას *). თუ მანც-და და-მანც სამღვდლოებას «ვაკანსიები» აკლია სასწავლებელში, იგი ვალდებულია განსწავლა პარალელური კლასები. ამას მოუწოდება არა უმეტეს ორასის თუქნისა და ამდენ ფულს ხომ ყოველ წლივ თითქმის აძლევდნენ კიდევ აქამდისინაც ერის კაცის შვილები. კიდევ ვიმეორებთ, რომ ამდენი გარდასახადი (30 მან.) სწავლისა და ესეთი შევიწროება სწავლის მსურველთა არსად არ უნდა მოხდეს.

ახალი კრება ამავე დებუტატთა დანიშნულია ამ მაისის 28 რიცხვისთვის.

*) მღვდლობის მიღებას ეხლა ყველა ელტვის. და თუ შეიძლება აქვს, გინაზიელიც რომ იყოს, არაფერი დააბრკოლებს, თუ მოხუცებულ მღვდელს საჩივრით მოუხერხა რამე და გადააყენა...

რედ.

ა ბ ის ი ნ ი ა *)

(აბისინიელის ნაამბობი).

სად მდებარეობს აბისინია—ეს ვგონებ, ყველამ იცის; მაგრამ ძლიერ ცოტანი მოინახებიან, რომელთაც რაიმე ნამდვილი ცნობა ჰქონდესთ ამ შორეული ქვეყნის შინაგან ცხოვრებაზე. ამიტომ ყოველივე ცნობა ამ ქვეყნის შესახებ, ჩვენის აზრით, სასაიგონო უნდა იქმნეს მკითხველთათვის მით უმეტეს, რომ ყველა ის ცნობა, რასაც ჩვენ ამ ქვეყნის შესახებ მოუთხრობთ მკითხველებს, ნაამბობია ერთი აბისინიელი მთავარ-დიაკონისაგან.

აბისინია შესდგება სამი სამეფოსაგან — ტიგრი-სა, შოასა და ლასტისაგან, რომელთაც განაგებენ თვით-მპყრობელი მეფეები. პოლიტიკური ურთიერთობა ამ სამ სამეფოთა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ამ სამ მეფეში ერთი ყველაზედ ჯმთავრესად ითვლება. ამ უფროს მეფესთან წელიწადში ერთხელ მიდის დანარჩენი ორი მეფე, მიწამდის თავს უკრავს მას, და მიაქვს საჩუქრები. აი ეს საჩუქრები: ათასი შავი ცხენი, ათასი თეთრი, ათასი წითელი და ათასი ცხენი შერეული ფერისა, სულ ოთხი ათასი ცხენი და ერთი ათასი ოქროს მანეთი თვითოეულს მეფეს. მხოლოდ ამით გამოიხატება პოლიტიკური დამოკიდებულება ამ სამ მეფეთა შორის. თვითოეული მათგანი თავის სახლში დამოუკიდებელი მმართველია. უპირატესობა ამ სამ მეფეში დამოკიდებულია არა რომელიმე სამფლობელოზე, არამედ მეფის წლოვანებაზე. როცა გარდაიცვლება უპირატესი მეფე, მისი შვილი კი არ იქერს უპირატეს ადგილს, არამედ ის მეფე, რომელიც ყველაზე უხნესია. მაშასადამე უპირატესობა ეძლევა მეორე სამფლობელოს უხუცეს მეფეს.

თვითოეულ მეფესთან არსებობს სინოდი, რომელსაც შეადგენს ექვსი მღვდელ-მთავარი, რომელთაც საკუთარი ეპარქიები არა აქვსთ და ამიტომ ყო-

*) როდესაც კაცი რომელიმე უცხო თემის ცხოვრებას გამოიკვლევს, ბევრს რამე საუურადღებოს და ჭკუის სასწავლებელს იპოვის ამ თემის ცხოვრებაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აბისინიელების ამ მოკლე ცხოვრების აღწერაში ბევრს ჭკუის სასწავლებელს, მისაბაძებს საქციელს და წეს-წყობილებას დანიხავს მკითხველი.

რედ.

ველთეის მეფესთან სცხოვრებენ და ექესი უფროსი ერის კაცი, თავმჯდომარეობს თვით მეფე, მსგავსად იესო ქრისტესა და თორმეტ მოციქულთა, როგორც განმარტა თვითონ ამ მთავარ-დიაკონმა. ეს სინოდი განაგებს როგორც სასულიერო ისე სამოქალაქო საქმეებს და ხელმძღვანელობს მოციქულთა, მსოფლიო კრებათა და წმიდა მამათა დადგენილობებით. თითოეული სამეფო დაყოფილია მაზრებად; თითოეულს მაზრაში საკუთარი მმართველია, რომელსაც თავისი სინოდი აქვს. მეფე თავის შემოსავლის ერთ შუთხედს აძლევს ეკლესიებს და მონასტრებს. ასევე იქცევიან ყველა უფროსები. საზოგადოდ კეთილ-მორწმუნე მეფეები დიდ მფარველობას უჩენენ თეთროსან და შაოხან სამღვდლოებს. ზოგიერთი მეფეები, როგორც მაგალითად გამოჩენილი ნეგუსი იოანე, თავის მეუღლის სიკვდილის შემდეგ, აღიკვეცებიან ხალმე ბერად და ამავე ღვთის განაგებენ სამეფოს. განაგებენ რა სამეფოს წმ. მოციქულთა და წმ. მამათა დადგენილებებით, მეფენი დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ ქვეშევრდომთა სარწმუნოებრივ და ზნეობრივ ცხოვრებას, თუ რომელიმე უფროსმა რაიმე სინიდი-სის წინააღმდეგი საქმე ჩაიდინა, მეფე მაშინვე ითხოვს მას თანამდებობიდან და სასტიკად სჯის, კიდევ რომ ეს უფროსი საიმედო და ერთგული მოსამსახურე იყოს მეფისა. ყოფილა შემთხვევა, რომ მეფეს გამოუტია ბრძანება, რათა მისმა ქვეშევრდომმა არ გაბედოს თამბაქოს*) მოწევა, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაუვითა თვის უნდა მოეჭრათ ცხვირი და ლაფხები. დღეს კი თამბაქოს მოწევა არ არის აღკრძალული, ხალხში ბევრი ეწევა თამბაქოს; მაგრამ ძლიერ სასიკრებოდ მიაჩნიათ, როცა თამბაქოს ეწევა მღვდელი, ბერი ანუ საზოგადოდ ვინმე სასულიერო წოდებათაგანი.

მეფის შემდეგ უმთავრეს პირად ირაცხება სამეფოში მხედართ-მთავარი, რომელსაც ემორჩილებიან ათასის უფროსნი, ხუთასის უფროსნი და ასის უფროსნი. თუ მეფე უშეილოდ გარდაიცვალა, მაშინ მის ტახტზე ადის უმთავრესი მხედართ-მთავარი. აბისინიაში ჯარია კაცები ჯამაგირით ემსახურებიან და კარგ ჯამაგირსაც იღებენ, რომელიც ყოფნის სალდათს თავის ოჯახის შესანახებად. ამიტომაც სამხედ-

რო სამსახურში შემსვლელთა რიცხვი ყოველთვის მრავალია. ასე ინახება მუდმივი ჯარი, რომელიც ესაჭიროება მეფეს მეზობელ მაჰმადიან ხალხებთან შეტაკების დროს. მოულოდნელ შემთხვევის დროს მთელი ხალხი გამოდის საომრად, რომელთაც კი შეუძლიათ იარაღის ხმარება, და ომების გათავების შემდეგ ისევ თავიანთ სახლებში ბრუნდებიან. როგორც მეფე, ისე თითოეული მაზრის მმართველი იხილავს სამოქალაქო საქმეებს და ასამართლებს თავის სინოდის თანადესწრებით, რომელიც შესდგება როგორც სასულიერო ისე საერო პირებისაგან. საქმის გარჩევას და მსჯავრის წარმოთქმას ესწრება მრავალი ხალხიც. მეფის გადასახადი ხდება მცხოვრებლებს მათი ქონების მიხედვით, ქონება ისახლვრება შინაური პირუტყვების რიცხვით, რომელიც ეკუთვნის თითოეულს მებატონეს. თითოეული მაზრის უფროსი ვალდებულია მფარველობა გაუწიოს ეკლესიებს და მონასტრებს თავის მაზრაში და ყურადღება ადევნოს ხალხის კეთილ-ზნეობას. აბესინიის სამეფოში მცხოვრებნი მკვიდრი აღარებენ ერთ სარწმუნოებას—რომელსაც ეწოდება კოპტო-მონოთეოზიტისა, და აქვს საეკლესიო ღვთის-მსახურების ერთი და იგივე ენა—ძველი ეთიოპელი, რომელიც დღეს უბრალო ხალხს აღარ ესმის. ამ ენასასწაველიან ისე, როგორც ჩვენში ძველ ენებს. აბესინიის ეკლესიის თავი არის კოპტო-ალექსანდრიელი პატრიარქი. ამისგან იღებენ ხელდასხმას აბესინიის ყველა ეპისკოპოსები, რომელთაც მოაქვსთ პატრიარქისათვის დადგენილი საჩუქრები. მხოლოდ ამით გამოიხატება პატრიარქის ეპისკოპოსებთან დამოკიდებულება; პატრიარქი სრულებით არ ერევა ადგილობრივი ეკლესიის შინაგან საქმეებში. მთელი აბისინია გაყოფილია რამდენიმე დამოუკიდებელ ეპარქიად, რომელთაც განაგებენ ეპისკოპოსები და დამოკიდებულნი არიან სინოდთან. თითოეული სამეფოს უფროსი ეპისკოპოსი იწოდება მიტროპოლიტად. იგი იღებს თავის მეფისაგან ას ჯარის კაცს, როგორც საპატიო მცველთ, რაიმე საღვთისაწაულო ლიტანიის შესრულების დროს. მაგრამ მიტროპოლიტობის ხანელი არავითარმე უპირატეობას არ აძლევს იმ ეპისკოპოსს, რომელიც მიტროპოლიტად იწოდება. მიტროპოლიტს არც კი შეუძლია დაესწროს მეფის სინოდის კრებაზე და ემორჩილება სინოდს ისე, როგორც სხვა ეპისკოპოსები. თითოეული ეპისკოპოსი ემორჩილება სინოდს.

*) აბისინიელთა აზრით თამბაქო პირველად თითქმის მწვანე ლეგლის არიოზის საფლავზე აღმოცენდა.

თითოეულ ეპისკოპოსს ჰყავს თავისი საკუთარი სინოდი, რომელსაც შეადგენენ მღვდლები და ბერები, რომელნიც ეხმარებიან ეპისკოპოსს ეპარქიის მართვაში. ეპისკოპოსის სიკედილია შემდეგ, ეპისკოპოსის სინოდი თავის გარდაცვალებული მღვდელ-მთავრის ადგილზე ირჩევს ვინმე არქიმანდრიტს, ანუ წინამძღვარს. ამ ამორჩევის დროს უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ამოსარჩევი პირის კეთილ-ცხოვრებას და არა განათლებას. საჭიროა, ეპისკოპოსის კანდიდატს ხალხშიაც კი სახელი ჰქონდეს მოაზრებული. ამის შემდეგ ინიშნება მეზობელ ეპისკოპოსთა კრება, რომელზედაც ამტკიცებენ აღრჩეულს პირს, ყველა ეპისკოპოსები თავის ხელმოწერილს წერილს ატანებენ კანდიდატს და გზავნიან პატრიარქთან. საყურადღებო ისაა, რომ არც მეფე და არც სინოდი არ ერევა ეპისკოპოსების ამორჩევაში. ხელდასმის შემდეგ ახალი ეპისკოპოსი ხდება მეკვიდრე ყოველივე იმ ქონებისა, რომელიც რჩება მის წინამოადგილეს, ისაკუთრებს აგრეთვე ფულსაც, თუ კი დარჩა. თავის საჩიოდ ეპისკოპოსი ხმარობს იმ შემოსავალს, რომელიც შემოდის საეკლესიო მიწებიდან. გარდა ამისა ეპისკოპოსი ხშირად იღებს საჩუქრებს მეფისა და შეძლებულ პირთაგან. ეპისკოპოსებს თითქმის მეფესავეთ დიდ პატივსაც სცემენ. ეპისკოპოსსა და მისდამი რწმუნებულ ეპარქიის დაბალ სამღვდლოებასა შორს არ არსებობს მამამიწიური განწყობილება. მხოლოდ წარჩინებულ უფროსს შეუძლია მივიდეს ეპისკოპოსთან და ემთხვეოს მას ხელზე, ხოლო უბრალო მღვდელმა და ბერმა შორიდგან ოთხჯერ უნდა დაუკრას მიწამდის თავი ეპისკოპოსს, შემდეგ უნდა ჩაუშვან ხელები და გაჩერდნენ როგორც ხატის წინაშე და თავმდაბლად ელოდნენ ეპისკოპოსის ბრძანებას.

(შემდეგი იქნება)

პეტაგოგიკის ისტორიიდან

(გაგრძელება *)

ბავშვებს არ უნდა შეაჩვიონ ფრინველების და თევზების ჭერა, რაც პლატონის აზრით, სრულად არ შეეფერება კაცსა.

მუზიკა უნდა ასწავლონ 14 წლიდან 16 წლამდის. მუზიკა—პლატონის აზრით, აყვარებს ბავშვს კეთილზრდილობიანობას, ანეთარებს მისს ესტეტიურს გემოვნებას და მიმართავს მისს ბუნებას კეთილისა და მშვენიერებისადმი. მუზიკის სწავლებას ამიტომ სახეში არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ სიამოვნება, სიტუბოება. ვაჟებს უნდა შეასწავლონ ფრიგიული და დორიული მუზიკა, რომელსაც შეუძლია შეაჩვიოს მათი ბუნება წყნარს, მშვიდს და თანასწორს მაქმედებას.

გონებითი განვითარებისთვის საჭიროა სწავლება წერა-კითხვისა, რომელიც არ უნდა იქმნეს დაწყებული ათს წელზედ ადრე. პლატონი ურჩევს მასწავლებლებს ადრე არ დააწყებინონ ბავშვებს პოეტურ ნაწარმოებთა კითხვა. განსაკუთრებით მანებელია ბავშვებისთვის ისეთი პოეტური ნაწარმოები, რომელსაც შეუძლია გააღვიძოს, გაახუჭვოს მათს გულში მისწავებას კმაყოფილებისადმი, ალეკუას, აბორკას უდრეკოდ მათი ხარციელი გნება (плотскія страсти). ასეთი გავლენა ექნება ბავშვზედ პოეტურს ნაწარმოებს, თუ მასში გამონატულია თვალ-საჩინო სურათები ნაყოფიანებისა და გრძნობიერობისა. ბავშვებს უნდა ასწავლონ არითმეტიკა, გეომეტრია, ვარსკვლავთ-მრიცხველობა და დიალექტიკა. უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ არ ცოდნა ანა დიდი ბარატება, და რომ მკაცრ-ცოდნა შეკრთებული ცუდს აღზრდასთან უფროსა შიშისა სწულს უცოდინარობაზედ. ამიტომ ახალთათობა არ უნდა დავამძიმოთ ბევრი ცოდნით, არამედ მივსცეთ მას ცოდნა, თუნდ მკირეც, გარკვეული შევაჩვიოთ ის წესიერებას და დროის შესაფერს მოხმარებას. დიდს ყურადღებას აქცევს პლატონი ფილოსოფიის შესწავლასაც, თუმცა იმის აზრით ამის ნიჭი ყველას არა აქვს. ფილოსოფიის შესასწავლად იმის აზრით საჭიროა წმინდა გონება, კაი მეხსიერება, და

*) იხ. «მეფესა»-ს № 8, 1893 წ.

ღრმად დაჯივრება. ფილოსოფია აუცილებელად საჭიროა სახელმწიფოს მმართველისთვის, ურომლოდ მას არ შეუძლია იქმნეს ნამდვილი და გონიერი მამა ხალხისა.

ღიღს ყურადღებას აქცევს პლატონი ბავშვის ზნეობით აღზრდას. ზნეობით აღზრდას იმის აზრით უნდა ჰქონდეს მიზნად სამართლიანობა. დედა-აზრი ზნეობითი სწავლისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ შეძლებისდაგვარად დავემსგავსოთ ღვთაებას. ღმერთს სურს მთელი ქვეყნიერება საზოგადოდ და, კერძოდ მამაკცდავი არსებანი, კაცები ელტონენ სისრულეს, წარმატებასა. ამიტომ ღმერთმა კაცის სულში, სანამ ის სხელს შეუერთდებოდა, ჩანერგა ეს პირველ სახენი (первообразы), რომელთა მსგავსად ყველაფერია შექმნილი დედა მიწაზედ, განსაკუთრებით ჩანერგა სულში „იდეები“ სამართლიანობისა და კეთილისა, როცა სული სხელს შეუერთდება, მისს პირველ-სახეებს და იდეებს გადაეფარება ბნელი ზეწარი ცოდვიანობისა და ბიწიერებისა; ისინი იძინებენ, მაგრამ კი არ ჰქევიან. სული ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს გააღვიძოს ეს პირველ-სახენი და იდეები, შობაეროს მათში სიცოცხლე და ღლითი-ღლე ელტონდეს ზნეობითს სისრულეს. რამდენადაც მაღლა სდგას კაცი ზნეობით, იმდენად ის ახლოა ღმერთზედ, რომელიც არის ყოველად-სახეირი არსება. ამ ზნეობითი მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩვენ თავისუფლად განვაფიქროთ ჩვენი გონება, რომ ჰან ამის წყალობით მოიპოვოს უფლება დანარჩენს სულის ნიჭებზედ. ვინც თავისუფლად განაფიქროს თავისი გონება და მით დაიმორჩილა სხვა ნიჭები სულისა, ის კეშმარტად ბედნიერ კაცად უნდა ჩაითვალოს: იმან ძიადწია უმაღლესს სამართლიანობას, რომელიც არის უღიდესი ბედნიერება კაცისა დედა-მიწაზედ. ბედნიერია ის კაცი—ამბობს პლატონი—ვინც თავისუფლად ხმარობს თავისი სულის ნიჭებს, ვინც ამ ნიჭებს დაუმორჩილებს გონებასა, რომელიც არის თვით სიბრძნე, ბედნიერია ის კაცი, რომლის მხნეობა (ნება) და ზნეობით გრძნობა ემსახურება მის გონებას ამ უმაღლესს ნიჭს კაცის სულიას. ბედნიერია ის კაცი, რომლის მხნეობა—ნება და გრძნობა იმორჩილებს მის სურვილს, ალაგმავს და შეზღუდავს მას, უჩვენებთ მას ღირსეულს საგანს, არ აძლევს ნებას უზომო ცხოვრებისას და ამით ააშორებს კაცს სხელის ნაყროვანებას, ხორციელ სიტკბოებას. სამართლიან-

ნობა მარტო ვარგვანს საქციელში არ მდგომარეობს; ის გამოიხატვის კაცის შინაგანს ბუნებაშია. სამართლიანია იმ კაცის ბუნება, რომელიმაც არ დააჩლოუნგა, არ გარყენა არცერთი ნიჭი თავის სულისა, არ არია ერთმანერთში ნიჭები და თითოეულს ნიჭთაგანს ანეთარებს და მოიხმარს თანახმად მის (ნიჭის) დანიშნულებისა. სამართლიანია ის კაცი, რომელიც ბატონია თავიანი თავისა და თავისივე მეგობარია, რომელმაც შეუთანხმა ერთმანერთს გონება, ნება და გრძნობა თვისი. თვით ღვთაებას უყვარს სამართლიანობა და სძულს უსამართლოება. სამართლიანს კაცს აქ, დედა-მიწაზედ ელის სიყვარული და პატივისცემა მაღლიერი თანამოძმეებისა და იქ, საიქოში, საუკუნო ნეტარი ცხოვრება. «კეთილს სულს მოვლის—ამბობს პლატონი—მშვიდი კეთილდღეობა და მყუდრო თავ-შესაფარი... ამიტომ არასოდეს არ უნდა ვსცილობდეთ სხელის მოთხოვნილებანი დავაყენოთ მაღლა სულს მოთხოვნილებათა ზედა. მოკლეა და ჩქარა წარმავალი წუთი სოფლის ცხოვრება საუკუნო ცხოვრებასთან შედარებით და მით უმეტესად არ უნდა დაუტევოთ ზრუნვა ჩვენს სულზედ, ჩვენს ყოველს ღლიურს ზნეობითს განვითარებაზედ. ასეთი სწავლისთვის კაცის ზნეობითი განვითარების შეახებ ისტორიამ პლატონს უწოდა „პირველი ქრისტიანი იესო ქრისტეს მოსკლამდის“. წმიდა მამა კლიმენტი ალექსანდრიელი უწოდებს პლატონს იესო ქრისტეს წინამორბედად წარმართთა შორის.

ქალების აღზრდა პლატონის აზრით ისეთივე უნდა იყოს, როგორც ვაჟებისა. ისინიც უნდა სწავლობდნენ გიმნასტიკას და მუზიკას და სხვა სამეცნიერო საგნებსა. ქალებმა უნდა შეისწავლონ ისეთი მუზიკა, რომელიც მათში განაფიქრობს სიმშვიდეს და კეთილ-ზრდილობაანობას. მაგრამ, პლატონის აზრით, ქალის ბუნება სუსტია კაცისაზედ და ამიტომ პირველი ვერ შეითვისებს იმდენს ცოდნას, რამდენსაც შეითვისებს უკანასკნელი. დრო იყო ისეთი, რომ ქალის ბუნებას ასე უტკუროდნენ. პლატონმა თუმცა სწო საჭიროდ ქალების აღზრდა-განათლება მსგავსად კაცებისა, მაგრამ შინაც ვერ დააღწია თავი საბერძნეთის ერის შეზღუდულებას ქალის ბუნებაზედ. მხოლოდ ქრისტიანობამ ალაშქარა ქალის ბუნება, გაუთანასწორა კაცის ბუნებას, და დედა ღვთისა წმ. მარიამ ქალწული, რომელმაც შვა და აღზარდა მაცხოვარი სოფლისა, ღღეს «უბატონსენს არს ქერაბიშთასა და აღმატებით უზესთაესთა არს სერაბიშთასა». ქრისტიანობამ მიანიჭა ქალს ის უფლებანი, რომელიც მას წართვა უსამართლობით დროთაფიქრობამ.

ილ. ფეკაძე.

ფ უ ფ უ ნ ე ბ ა

(გაგრძელება *)

VII

ფუფუნებას შეიძლება გაეუხსნაჯოთ სამი სხვა დასხვა მხარე. თავდაპირველ კერძო ჰარის შესახებ გავსინჯოთ: მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში შერჩევა რომელ საზღვრამდე უნდა მიდიოდეს, რომ სასარგებლო იყოს ადამიანის ნიჭიერებათა დონებრივი განვითარებისთვის? ეს არის საკითხი ზნეობითი. მეორედ, რომელ ხარისხამდე ფუფუნება სასარგებლო ან საზარალო დოვლათის გასაღიდეבלათ? ეს საეკონომიო საკითხია. მესამედ, შეეკუება თუ არა ფუფუნება ნარწოთა თანასწორად განაწილებას და იმ დედა აზრს, რომ თვითეთლი კაცი უნდა ჯილდოვდებოდეს მისგან გაწეული შრომის შესაფერაჲ? ესეც საკითხი სამოსამართლო და სამართლილო. ეს მესამე მხარე ფუფუნებისა თითქმის გამოუყვლეველი დარჩენილა, რათგან არ სწამდათ, რომ სამოსამართლო დედაზრები უნდა ეწყობოდენ ნარწოთა ეკონომიურ განაწილებას. მაგრამ იმას კი ნუ დავივიწყებთ, რომ, როცა ქრისტიანობა ქადაგებდა სიყვარულს როგორც მტკიცე ვალდებულობას, ყოველთვის კიჭაედა ფუფუნებას, იმიტომ რომ იგი იწევეს გადაჭარბებულ ხარჯებს და უზნეურ ხარჯებსაც, რომელთ ნაწილი, საქრისტიანო მოძღვრებით, უნდა ერგუნებოდეს ღარიბებს.

ჯერ განვიხილოთ ფუფუნება პიროვნების მიხედულობით. სასარგებლოა იგი, თუ მანებელი? ამასთანავე ვიგულყოთ, რომ პიროვნება ზრუნავს მხოლოდ თავისს თავზე და არ აქცევს ყურადღებას სხვებს და იმას, რასაც მისგან მოითხოვს სიყვარული და მართლიადობა. საკითხი რომ გადაწყდეს, საჭიროა ეიცოდეთ, რაში შეიცვის სიყვითე ადამიანისა, რაა მისი მიზანი და დანიშნულება. აშკარაა, მიზანი არის ღონებრივი განვითარება ყოველთ მის ნიჭიერებათა, და ბედნიერება, რომელიც უნდა იყოს ნაყოფი განვითარებისა. პესიმისტებს, მედუხჭირეებს, რომ ჰკითხო, რაც უფრო განვითარებულაა ჩვენი ნიჭიერებანი, მით უფრო ისინი ხდებიან ჩვენთა ტანჯვათა წყაროებად, რომ «მეაზროვნე კაცი არის გაუკუღმართე-

ბული ცხოველი», რომ მხეცი უფრო ბედნიერია, ვინემ ეს ტყუილი მეფე ქმნილებათა, რომ მცენარე უბედნიერესია მხეცზე, მაღნეული კი—მცენარეზე, და რომ, ერთობილ, ნეტარების თავი არს არ მყოფობა, ბუდლასეებური ნირენა, არარაობა». შექსპირმა თქვა: ბედნიერება ისაა, რომ არ დაიბადო. ანაკრეონი ფიქრობდა, ბუზანაკალი კაცზე უფრო ბედნიერიაო.

პესამიზმის მოძღვრებაზე ნუ შეჩერდებით. რაც უნდა იქალაკონ შოპენგაუერმა და ჰარტმანმა, ასეთი საარაო აზრები, მაინც ვერვის დააზრუნებენ. დაუსრულებელი განვითარებულობა, რომელიც დაწყებულა მატერიითგან თავდაპირველ გაფანტულისა და უფორმოითგან და მერე, შემდეგ დაუსრულებელ უამრავ გადაქმნილებისა, თავდება ადამიანის გონების და შეგნებულის პიროვნობის აღმოცენებით, იყოს განუწყვეტელი წარმატება უბედურობისა და გზა ხელაღებულის სასოწარკვეთილობისა. თვითეთლი არსი, რაკი მასში სიკოცხლე გაჩენილა, მესწრაფის თავდაცულობას, გამრავლებას, განდიდებას და გაურკველებას. ეს არის ცხოვრების ზოგადი კანონი, და ამიტომ თავისთავათ გამოდის, რომ მის, კანონის, შესრულებას უნდა თან სდევდეს სიამოვნებაც. მაშასადამე ჩვენ უნდა მივესწრაფოდეთ სრულობას, და რომ მართლა ჩვენი ბედნიერება არ დიდებოდეს სრულობისადმი თანდათან მიახლოვებით, მაშინ ამაში უნდა დავინახოთ დამტკიცება იმისი, რომ ჩვენი დანიშნულება მთლად არ თავდება აქ დედამიწაზე.

სრულყოფა ადამიანისა შეიცავს საესეთ განვითარებაში ყველა მის ძალებისა, ძალთა ფიზიკურთა, ძალთა ინტელექტურთა და ყოველ მის გრძობათა, რომელთაც ეკუთნის: მოყვარულობა ოჯახისა და კაცობრიობისადმი, ალლო შეენიერისადმი ბუნებასა და ხელოვნებაში.

აქ გვეხატება ორი სხვა და სხვა სახე კაცობრიულის სრულობისა: სახე ქრისტიანული და სახე ანტიკურის სიძველისა. ქრისტიანული სრულობა უფრო მაღლა დგას მით, რომ გვამცნევეს მოძმეთადმი, შეუდარებლათ გამოთქმულს, მართლიადობის და სიყვარულის მოვალეობას. რაკი ძველ, ანტიკურ, ფილოსოფოსებს ძალიან აბდაუბლათ ესმოდათ. ისინი მარტო თავიანთ ერს პოულობდენ პატივდების ღირსად და სხვა ერებს მხოლოდ ბარბაროსობით იხსენიებდენ. ამასთანავე მონობას სთვლიდენ მიუცილ-

*) იხ. „მწიგნოსი“-ს № 5—6 (1893 წ.).

ბელ საჭიროებად. ქრისტეს სარწმუნოებისთვის კი სულ ერთი იყო ელიონი, ბარბაროსი, საკეთი და სხ. დღეს ქრისტიანულ მოძღვრებაში ნაკლს ხედვენ იმაში, რომ პირვანდელმა ქრისტიანებმა, რომელთაც ეგონათ მალე მეორეთ მოსვლა იქნებოდა, სულ აღეს სული სააქაო ცხოვრებაზე და იდეალად გაიხადეს უნაყოფო ასკეტობა, განდევნილობა, მესვეტეობა, რასაც სახარებაში ადგილი არ ქონდა.

ამიტომ ამ შემთხვევაში საბერძნეთი უნდა იყოს მისაბად მაგალითად.—ახალგაზდა ბერძენი იგითარებდა ვარჯიშობით კუთებს თვისის სხეულისას და ძალებს თვისის გონებისას. დილას იგი ატარებდა ღროს გიმნასტიკაში, ნასადილევ ხანს—მუსაიფში, ღია ჰაერში სწავლულ და ჭკუიერ კაცებთან. ამგვარათ იგი მიეღწეოდა თავის სანატროს, თავის იდეალს: მრთელი სული მრთელ სხეულშია. არსებითი საუნჯეა კი სიმრთელის დადგინება; რომ არა, და აბა რა გამოსადევია ან დიდება, ან პატივი, ან ხარისხი, ან სიმდიდრე ავადმყოფისა და ღაფალი კაცისთვის? ბერძენთ ცხოვრება, რასაც დღეს ბაძევენ ახალგაზდა ინგლისელები თავიანთ უნივერსიტეტებში, უნდა იყოს ჩვენი სანატრისიც, ბერძენს აკლდა მხოლოდ სახელსაქმო შრომა, რაც ძველათ მონებს ჰქონდა დაკისრებული. ეს დიდი შეცთობაა; ნეტოც ეთქოთ, დიდი დანაშაურობა, იმიტომ რომ ეს იყო ბუნების წესის დარღვევა, რაცა კიდევაც დაისაჯა მიუცილებელის დამხობით, თვით ბუნება აქეზებს კაცს შრომისადმი. ჩვენ გვაქვს მოთხოვნილებანი და იმავე ღროს განმსჯელობა, რომელიც ორგანოთა საშუალობით გვაძლევს ღონისძიებას ეშოულობდეთ, რაც საჭიროა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ყველა ორგანოვანი არსებანი ცხოვრებენ ამ სახით, პირადის შრომით. თუ ჩვენ სხვებს გადავადეთ მთელი ჩვენი არსებობისთვის საჭირო მთელი ჩვენი შრომა, მაშინ ჩვენ დავისჯებით სისუსტით, სტომაქის მიერ საჭმლის მოუნელებლობით, იზოქონდრიით, სევდით, ერთი სატყუით ყოველ ავთმყოფობით და გულ აზიზღებით, რომელნიც არიან შედევნი მოწყენილობისა და მოყირკებისა. ვისაც უნდა ბუნების წესს ემორჩილებოდეს და მომეტებულ ხანს დაიზოგოს თავისი სიმრთელე და ძალები, იგი უნდა ზოგიერთს მათს სხეულის ვარჯიშობას ასრულებდეს. ძველები ამ წესს რიგინათ ასრულებდენ: ისინი ბლომა ნაწილს დღისას ანდომებდენ იმას, რათა მიეცათ მოქნილობა სხეუ-

ლისთვის და გაემავრებინათ თავანთი კუთები აბანოებში და სავარჯიშო მიედანზე, მარტის მინდორზე, ახლანდელის კაცისთვის, რომელიც უმონებოდ არის დარჩენილი, არა მქონე ეკონომიურის მიზნია გიმნასტიკური ვარჯიშობანი, უნდა შეივსებოდენ ხოლმე იარაღთა ხმარების და სხვა რამ ნამდვალ სასარგებლო სახელთსაქმო ვარჯიშობანიო. ეს აგვაცდენს სხეულის და გონების სიღუნეს და გადაჭარბებულს სათუთობას.

ძველი ცხოვრება იყო ტურფა და სალა. ათინაში და რომში თითონ შეძლებულს და მდიდარ კაცსაც კი არ ქონდა აჩხორილი თავისი ბინა იმდენ აუარებელ საგნებით, რაც ახლა მიუცოლებლად ითვლება. შედინარ მომპველის სახლში და მაშინვე იციოთ, როგორ ესმოდათ ძველებს ცხოვრება. პირველ ხარისხზე იყო მისწრაფება შენეირისადმი. ხელოვნებას მოეკახმა ყოლაფერი: მიედაი-სალაყბონი, აბანოები, ტაძრები, ყველა კედელ-ყურეები კერძო საღომების, კარ-მიდამოები, ბალები, კედლები, ავეჯულობა უკანასკნელ სამხარეულოს ჭურჭლამდე. მაგრამ მათი მოთხოვნილებანი იყენენ უფრო შემოფარგლულნი და მათი დასაკმაყოფილებელი საშუალებანი მცირე რიცხოვანი. საწოლი ოთახები ჰგვანდენ მანასტრის ეკვდრებს; იქ მოათავსებდი მხოლოდ ტახტს, სკამს და პატარა ყუთს. ახლანდელის დარიბი კაცს ავეჯი არც კი დაეტეოდა იქ. ტანისამოსი გამოჭრილობით ჩვენებურის ბერებისასა გვანდა: ტილოს კურტაკი და მატყლის მოსასხამი სრულიად უფასონო, უბრალო ქსოვილის ნაქერი, ბეჭებზე დანაკეცული. ცხადია, რათ არ იცოდენ მაშინ სასაცვლე-სატანისამოსე ოთახი ცალკე, მოდათ ცვალება არეინ იცოდა იმ დროს. ათას წლობით რჩებოდა ტანთსაცმელი უცვალებლად. ჰამაც ხომ ძველმა კაცმა ზომიერი იცოდა.

(... 2001) მ—... ..

საისტორიო მასალა.

ბ ე ჯ ე ბ ი.

(გაგრძელება *)

ქ. ბატონის შვილი იულონ გიბძანებ სომხის შვილო ფიცხლა მერმე შენ უნდა წახვიდე ახლავ და ქვეყრილიდამ იოანე აბაშიძეს რომ მღვდელი აჭყრია და ნაქალიეს მოსულა. ის მღვდელი ახლავ უნდა აყარო თავისის ძმებით და ისევ ქვეყრილს იოანე აბაშიძეს მოაბარო. იმისი აუყრელობა და მიუბარებლობა არ იქნება. მერე კიდევ ლასური შვილი(?) რომ აყრია, ისიც ისევ უნდა აყარო იოანეს მოაბარო და თუ ქოტი(?) სიტყვა აქვს რამე იმ ლასური შვილსა ჩვენთან ჩამოვიდეს. ჩვენ მოგეახსენოს და სამართალს მივსცემთ მარტას შ. ქორონიკონს შ.ო.ზ.

ქ. ზურაბ ენისელთ. მოურავის შვილო ამ იასაულებზედ შენ ბეჯითი უნდა იყო რა აუყაროთ და მოსცეთ თორემ დიდათ გვეწყინება ჩვენ იოანე აბაშიძეს კაცს ვერ წავართმევთ.

ბექელი. ტომსქესით აწნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.

ქ. ბიძა ჩვენო აბაშიძე ბორჩალოს მოურაო ქეშოჩიბაში იოანე მერე თუ ჩვენი სიყვარული გაქვს ეხლა გამოგინდებოდა რომ მადრიდამ დიდი საჩქაროდ და მალე ოთხასი ბათმანი სპილენძი დაგვიბარებია და არღუთა შვილი ბექან და ჯაბადარი ნინია მოვლენ და ამათ ოცდაათი ცხენი უნდა მისცე და საჩქაროდ გაისტუმრო აგვისტოს ძმ ქა შპზ. იოანე თუ რასაც დროს მოვიდნენ და ეს ოცდაათი ცხენი მაშინვე არ მიეც არც ბიძა ჩემი ყოფილხარ არც არა გყვარებივარ და აქ რომ მოხვალ ხმასაც არ გამოგცემ თუ ეს ოცდაათი ცხენი საჩქაროდ არ მიეც და არ გაისტუმრე. ხუმრობა არ არის ეს ჯარი აქ არ დაგვრჩეს თუ ეს ოცდაათი ცხენი არ ეყოს იქ დაკლებს ოცდათხუთმეტი ცხენი უნდა მისცე რომ ოთხასი ბათმანი სპილენძი უნდა საჩქაროდ მოიტანონ, რომ ამ ოთხშაბათს სრულებით აქ მოგვივიდეს. ბექელი გიორგი მკ. XIII-სა.

XI 1772 წ. ქ. ჩვენ მაგირიერად ჩვენს დიდს

იმედს და დიდად იმედით მისაჩვენელ მისახედავს და არასოდეს არ დასაფიქროს ქეშოჩიბაში აბაშიძე იოანეს მრავალი მოკითხვა ეუწუოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა და ქალოქის ნაპირს ლეკისაგან ცემა და თარეშობა მოგეწერა. მაკ საქმეზედ დიდათ ვწუხვართ და ჩვენი სეინილისი იგვემება მაგრამ აქაურის საქმეების გამოისად მოცალეობა არა გვაქვს. ჩვენს შვილს

*) იხ. იმწიგნობის მე-7 №, 1893 წ.

მოახსენე ყაზასილამ და ელებილიმ კაცნი დაიბაროს და ქალოქში ამყოფოს. სარდალ სახლთხუცესს დავითს რაც ელებილამ კაცნი მოჰყენენ იმათაც ამ ორსამ დღეზედ მანდ გამოგეზავნით. ჯარი რომ გეთხოვნა იქნება რომ ქისიყილამ ასიოდ კაცნი გამოგეზავნათ. მარფულაში(?) რომ სათარეშოთ წასვლა მოგეწერა ჯერეთ წასვლის დრო არ არის. ფიშას წიგნი მიგეწერეთ. იმ წიგნის პასუხს ზოველით. ვნახოთ რა პასუხს მოიწერება. შენ ერთს ალავს წასვლა რომ მოგეწერა. არეულობა და აყალ მაყალი არის არამც ერთს ფათერაკში გაეხვი რაშიმე ჯერეთ დრო და ფაში არ არის შენის სწავლისა როდესაც დრო იქნება მაშინ გაგისტუმრებთ. ყარაქალარის ქეშა(?) და მაშმად უზანში აქ ჩვენთან არიან. ჩვენ და ესენი ვილაპარაკებთ ბინას დაუდებთ და როგორც ბინა დავადებთ და მოვიწერნეთ ისრე დააყენეთ ამ ხუთს ექვს დღეზედ გამოვიტუმრებთ. რაც კახეთის ელის(?) საქონელი იყოს. ქალოქის ნაპირას ნუ დააყენებინებთ. სხვაგან გააგზავნინეთ. შენს შუამავლობას იყონ ძირს არ დასცემს. ახალციხის მხრისაკენ კარგი გულის მისანდო ყარაულები დააყენეთ ნოქრებს გული დაუდევით და რითაც იყოს გააძღვინეთ. აღიწერა გიორგობის. იხ ქს შ.ქ. რაც მოგეწერია ესები ყველა ჩვენს შვილს გიორგის უაშბე. ჩვენც ჩვენი შვილის გიორგის ნახვა და შენი ნახვაც გვინდა. და ვიცით რომ თქვენც გინდათ ჩვენი ნახვა მაგრამ ახლა მანდღამ თქვენი დაძვრა არ იქნება. მანდაურობას მოვლა ეჭირება. ბექელი ირაკლი მეორისა.

ქ. ჩვენი ბძანება არის ქეშიჩიბაში ბორჩალოს მოურაო აბაშიძე დავით. მერე მანდ რომ რუსის სალდათი დაუმალავსთ მაგისტრის იასაულები გამოგეგზავნია ახლავ უნდა უპოვნო იასაულებს მოაბარო და საჩქაროთ გამოგზავნო. რომელსაც ობას (sic) იასაულებისათვის ოთხის ღლის პირობა მიუტყიათ. ამათევე უნდა აპოვნინო. ვეჭილო ულურხან(?) თუ ეგ სალდათი ახლავ არ იპოვნე იცოდეთ ჯარიმაც წაგერთმევით და ჯოხითაც გარდაგხდებთ. და არც მაგის უპოვნელობა იქნება. ნოემბრის 9. ქს შპც. ბექელი. გიორგი მეცამეტისა.

XIII 1777 წ. ქ. ჩვენ მაგერად ქეშოჩიბაშს

აბაშიძეს იოანეს მრავალი მოკითხვა უაშბეთ. მერე მე მაგ ლეკის ამავი აქ ასე ითქვა. რომ მითამ რომ შემოველოთ. მართალი კი არ ვიცით. შენ უფრო სწორე გეცოდინება მაგ ლეკის შემოვლა. თუ მართალი იყოს. დღესვე საჩქაროდ ამას აშბავი უნდა გეცოდინოთ. რომ ამალამე ჩვენ აქედამ ავკალას ევალთ. თქვენც მანდღამ შემოგვეყარენით. რომ მოუხვედრობა არ იქნება. თუ არ ამოველოთ და მაშინც

ის უნდა მოგეწერო, აგვისტოს 8 ქს. შ.შ. ქ. ჩვენ ხვალ ღვთის მანდ ამოსვლას ეპირობდით. მაგრამ ამ ამბის მოლოდინე შევიქენით. ის ცხენიანი კაცი თუ სამ გორილამ ზევით წამოსულიყოს საქაროდ თქვენც წამოდით. ამაღამე, თქვენ თუ ავტოლასკენ წამოხედეთ, რაც მანდ აქ მყოფის ამაღის ცხენი იყოს. ყანდალა უყავ და იქეთ გამოისტუმრე. რომ ჩვენც ავტოლას მოუსვლელი არ დავდგებით. ამისი ამბავი არ დააგვიანო ახლავ გეცოდინე.

ბექელი ირაკლი მეორისა

მ. გელ—ქე

ს ი ტ შ მ ა

თ. ა. წერეთლისა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზე.

(ქუთაისის თავდა-აზნაურობის წარმომადგენელისა)

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,
განთიადისა მორბელი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდეს
ტყუთა ფრინველი და ვარდი.
მინდა მზე ვიყო, რომ სხივი
ჩემსა გარემოს მოვავლო,
სალამოს მიტომ ჩავიდე,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.

ეს ინატრა ახალგაზდა მგოსანმა ამ ნახევარ სა-
უკუნის წინეთ და ეს ნატურა წინასწარმეტყველებად
გადაექცა: გახდა წინამორბედად ჩვენის ახალის ცხოვ-
რების განთიადისა და იქ შორს, სამშობლოდან უც-
ხოხ მხარეს, მზესავით ჩავსვენა, რომ დღეს აქ უფრო
მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყიყო. ამას ვხე-
დავთ და დღევანდელი ჩვენი მოგებება, გლოვა და
ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე შინა. დიან,
არავის გეგონოსთ აქ ეს ნამდელი სამარე და კუბო
ბარათაშვილისა, იმისი კუბოა ყველა ქართველს გუ-
ლი და ისე ხშირი, როგორც სვით მგოსნის მთელ
საქართველოსადმი სიყვარულით ავსებული გულის-
ძგრა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც
ამიერიდან უნდა დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ
მთელ საქართველოს სხივი ჰფინოს და მართლაც
რომ უკეთეს ადგილს ვერ გამოქმენბდით. მართალია,
ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს
ადგილი, ეს დიდუბე წმინდა-წმინდათაა, აქ დაიდვა
პირველად ძლიერის გვირგვინი უპირველესმა ჩვენმა
საისტორიო მნათობმა თამარ მეფემ. მართალია, დღეს
დიდუბეს ის ფერი აღარ ადევს, აღარც ის ტაძარი,
აღარც ის სასახლე, აღარც ის წალკოტია. ვამთა
მსვლელობამ, დროთა ვითარებამ ის გადაასხვადგრა,
მაგრამ დიდებული ხატი კი მაშინდელი შეუცვლელად
ღარჩა საქართველოს ხლოვნაში. აქამომდე ჩვენ წარ-

მოვიდგენდით თამარს თავზედ ძლიერ-მოსილ გვირ-
გვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით
საკადრისი მისი მღერალი რუსთველი. დღიდან უფ-
რო დასრულებული იქნება ეს ხატი. მეორე გვერდით
ვდგომება ბარათაშვილი.

როგორც ამ შეიდასის წლის წინეთ დასაველეთ-
საქართველოდან, ე. ი. იმერეთიდან, მოვიდა ხალხი,
რომ თავიანი ეცა დიდებულ თამარსათვის და საზო-
გადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიელო, დღე-
საც მოვსულვართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარა-
დისო ძმობისა და გაუყრელ ერთობისა დავადვთ
გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი, შე-
კონცილი ჰურის თავ-თავისაგან, საგულისხმოდ მისა,
რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრი-
ვის ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა—მთელ
საქართველოსი. ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, რო-
გორც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად
დაუფიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარათა-
შვილისა.

მ ა ც ს ო ვ ა რ ი .

(მიბაძვა).

ჯერ იყო ქვეყნად მარტოკა სიტყვა,
და იგი სიტყვა იყო თვით ლმერთი,
სხვა არენი იყო—რომა დაცხნა
წაწყმედისაგან ცოდვილი ერთი...

ღვთითა არსებობს ყოველიფერი,
იგი ახარებს, იგი აცოცხლებს,
არც ერთ სულიერს წინსვლას, სიხარულს,
ბედნიერებას იგი არ აკლებს.

აქ, მუნ, ყოველგან იგი არსებობს,
ცისა და ქვეყნის ბრძანებელია;
ძაცთა მოყვარე, სულ ერთად-ერთი,
დიდად სულგრძელი, უძლიველია...

არ დაიფიწყა ცოდვილ ქვეყანა,
მხნეერპლად შესწირა თავისი თავი,
ჯვარზედა ცმითა, ტანჯვით, წუხილით,
ჩვენ ავგაშორა გენია მწვეაი...

მალაქია ბოლქვაძე

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შეეცავეთ, რომ ამ მაისის თთვის 28 და 29 ახალ-სენაკში კრება ექნებათ სამეგრელოს ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატებს მათი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის საქმეებისა გამო.

1 იენის ახალ-სენაკშივე კრება ექნებათ გურიის სამეგრელოს ეპარქიის ყველა ბლალოჩინებს, რომელთაც უნდა მოილაპარაკონ და დაადგინონ, თუ როგორ აწარმოვონ ამ ეპარქიაში საეკლესიო წმინდა სანთლის საქმე.

* *

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ეკვამენები დაიწყო მაისის 10 და გაგრძელდება ცხრა ენისამდე.

* *

დიდი ცდილობის შემდეგ, როგორც იქნა, მოსპეს ქალაქ ქუთაისში ძველ სასაფლაოებზედ მიცვალებულთა დასაფლავება. ამ სასაფლაოების ნაცულებად დანიშნულ იქნა ახალი სასაფლაოები ქალაქს გარეთ. მაგრამ ვინც ფულს სწირავს ეკლესიებს სასაფლაოსთვის, ის შოულობს ნებას, რომ თავის გარდაცვალებული ისევ ძველ სასაფლაოებზედ დამარხოს. ჩვენის აზრით ძველი სასაფლაოები იმიტომ დახურეს, რომ მათზე თავისუფალი ადგილი აღარ იყო ახალ მიცვალებულთათვის. თუ ეს იყო მიზეზი ძველი სასაფლაოების მოსპობისა, მაშ დღეს რაღათ აძლევენ ნებას ამ სასაფლაოებზე დამარხვისას? ნუ თუ ფულების შეწირვით ვცხვენს უფლება ეძლევა, რომ ძველი მიცვალებულის ძელები ამოთხაროს და ახალი მიცვალებული დასაფლავოს? ძლიერ კარგი იქნება, რომ ძველ სასაფლაოებზე აღარავის არ აძლევდნენ დამარხვის ნებას. იმედია ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს ეისი რიგია.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

სამღვდლო და სამეცნიერო მოსამსახურეთა საყურადღებო.

არ შეგვიძლია, რომ ზოგიერთა სამღვდლო მოსამსახურეთა ყურადღება არ მივაქციოთ წვერის, ულაშის და თავის თმის მოვლაზედ. აქაც ის ითქმის, რაცა ესტკეით სამოსლის და ტანთ-საცმელის შესახებ. რიგი არ არის, რომ სამღვდლო პირი ნამეტან ყურადღებას თავის წვერ-უღვაშს და თავის თმას აქცევდეს, მაგრამ არც ის ვარგა, რომ სრულებით ყურადღება არ მიაქციონ წვერსა და თავის თმის მოვლას. ზოგს ისე ნამეტანად ეზრდება წვერი და უღვაში, რომ პირი სრულებით დაფარულია და სიწმიდის მიღების დროს უღვაშები მთლად უსოვლდება. ამისთანა შემთხვევისათვის მღვდელი კონდაკშიაც კი ნახავს დარიგებას; იგი ვალდებულია დაიმოკლოს უღვაში და წვერი ტუჩს გარშემო, რომ სიწმიდის მიღების დროს უღვაშები არ დასოვლდეს სიწმიდათა. ამას არც კანონი უშლის მღვდელს. მაგრამ ამ მიზეზის წყალობით წრეს გადადიან სამხედრო წოდების ზოგიერთი მღვდლები. ისინი ტუჩების გარშემო კი არა ყურებიდგან დაიწყებენ და ნიკაპამდისინ სულ აიგლეჯენ, ან მოიპარსვენ წვერებს. პირველად რომ მათ შეხედავთ, ფრანცუზი ერის კაცი გგონებათ, თუ ანაფორა არ შენიშნეთ. მ. კა—ვი ხომ ყველას აკვირებდა თფილისში თავისი ახირებული წვერის პარსვით. მეორე რუსის მღვდელი არის კიდევ გვარად ვერ—გინი. ამ მღვდელს თფილისში ეხედავთ 15 წელიწადია და ამდენი ხანი მისი წვერი სწორედ იმხელა არის გაზრდილი, რამდენიც უნდა გაიზარდოს წვერი სამართლით მოპარსვის შემდეგ ერთ კვირას და თავის თმა ხომ პერანგის საყელოს არასოდეს არ ჩასცილებია ამ 15 წელში. განსვენებულმა დეკ. მ. ზედგინიძემ ახით შემოგვიჩი-

ლა ერთხელ, როდესაც შეხედა ამრუსის დეკ. ვერ—ნს: ბატონო, რას გავს ეს? მე წვერისა და თავის თმის მოვლამ საქმე გამიჭირა და ამ მამაცხონებულს დაუდგია მავრატელი და გაუკრეჭია!.. თუ ეს მათთვის შეიძლება, ჩვენ რაღა დავაშავეთ? ნუ თუ ბაკენბარდების გაკეთებისა და თმის კრეჭის უფლება მარტო სამხედრო სამღვდლოებს აქვს მინიჭებული? ამისთანა სამღურავს ხშირად გაიგონებ ზოგიერთთაგან, მაგრამ რა გავწყობა. ერთმა რომ რაიმე უკანონო საქციელი ჩაიწიოს, ამით სხვას არ ეძლევა უფლება უკანონო საქციელი...
სამღვდლო პირთა თმის შემოკლების შესახებ ბევრი იწერებოდა ამას წინეთ გაზეთებში, მაგრამ ნამეტანი ნაწილი სამღვდლოებისა იმას ამტკიცებდა, რომ მღვდელს უთუოდ უნდა ჰქონდეს მოგრძელო თმაო.

წირვის და მღვდელ-მოქმედების აღსრულების დროს მღვდელს უთუოდ თმა გაშლილი უნდა ჰქონდეს და არა დაწნული ანუ ზორნით შეკრული, როგორც ზოგიერთებმა იციან ხოლმე. ხმელი თმის ჰატრონებმა ზეთი უნდა იხმარონ თმის დასარბილებლად და რიგიანად დადგომისათვის. ტრაპეზში ყოველთვის უნდა ისწორებდეს თმას, ვიდრემდის ხალხში გამოვიდოდეს.

ჩვენი ძველი მოძღვრები უფრო ჰკუეიანები იყვნენ ამ შემთხვევაში. ისინი ულვაშს მავრატელს არ მიაკარებდენ, მაგრამ ულვაშის ასაკრავებს ხმაზობდნენ და კარგად იღვა თმა.

ენლანდელ ზოგიერთ სემინარიელებს ულვაშების მოპარსვა საქებურად მიაჩნათ, მაგრამ არ იციან, რომ ნაპარსი ულვაშში ძლიერ გაფუტხვილად და ცუდად ღვება შემღვში.

განვიმეორებთ, რომ ყველა ესეები წერიმალი საქმეა, მაგრამ რიგია ენლანდელმა სამღვდლოებამ ამ წერიმალსაც ყურადღება მიაქციოს.

რედაქციის პასუხი.

მღვდ. გალმელს. თქვენი სიტყვა 22 კვირიაკეზე არ იბეჭდება.

ფ—ში. ლ. ტ—შს: ძლიერ სასიამოვნოა, რომ წიგნის მალაზია გაგინხნათ, მაგრამ წიგნების ნისიად გამოგზავნას ვერ ვხედავთ ზოგიერთი წიგნის მალაზიების საქციელის წყალობით, ხშირად ხსნიან წიგნების მალაზიებს ენლანდელ დროში, მაგრამ სახეში 20% სარგებლობა კი არა აქვსთ, არამედ სულ მოელი 100%-სა.

აზ. ილ. ა. გაგუას. კარგს იხამდით, რომ თქვენი სტატია რუსულ „მოამბე“-ში გაგვიგზავნათ.

სემინარიელს. თქვენს პასუხში ზოგიერთ პირების ისეთ შეტომებს ენუბით, რომელთა გამოქვეყნება სამიზნოა და საწყენი. არ იფიქროთ, რომ ეგ შეტომა მარტო მოხუცებულებს მოსდიდესთ. არა, ზოგიერთ ნასწავლსაც ემჩნევა. გლადიმიირის ორდენის მიღებისათვის სუსტი და უძლეური არაა არ უნდა იფარებოდეს. რიგი და კანონია უძლეური მღვდელი თავისი სიუძლეურისა გიმო უნდა დაითხოვონ და არა სხვისი საჩივრით... სხვისი საჩივრით კაცის დათხოვნა წინააღმდეგა სვინიდიისისაც და კანონისაც. რაღა მანიცა-და-მანიც მღვდლობის მიღებას, რომ განიზრახავს კაცი მაშინ დაუძლეურდებიან მღვდლები და მანამდისინ კი კარგი არიან ხოლმე?!

ვინც დაუძლეურებულია და ვისაც ბლარ შეუძლია თავისი მოვალეობის აღსრულება, ამას უხდა ტუობილობდენ რევიზიასზე და მაშინვე გამოაცხადებდენ მათ ადგილს თავისუფალ ადგილად ყველა მოხონელებისათვის. ამით სრულებით მოსპობა ის არა სახატრელი აზრი, რომელიც იბადება ხალხში და ძველ სამღვდლოებაში ანალგაზდა საკურთხ კაცებზედ... კანონიც ხომ ამას ითხოვს.

შინაარსი: წმინდა სანთლის წარმოების საქმე ჩვენს საექსარხოსოში.—მწარე ფაქრები.—„მწყემსი“-ს კორრესპონდენცია სოვ. აღისუზნიდამ.—(მწყემსი)-ს კორრესპონდენცია ანალ-სენაკიდან.—ამისინია.—ჰედაგოგიკის ისტორიიდან.—ფვფუნება.—საისტორიო მასალა (გუფრები).—სიტყვა აკაკი წერეთლისა ნ. ბარათაშვილის დასაფლავებაზე.—მაცხოვარი (დექსი).—ანალი ამბები და შენიშვნები.—საეკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.—რედაქციის პასუხი.